განათლებისა და კულტურის განყოფილების 2015 წლის პროგრამები

1. **კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი**

კლასიკური მუსიკის ვარსკლავების მონაწილეობით, 4 დღის განმავლობაში ჩატარდა კონცერტები. ფესტივალის ფარგლებში მოწვეულ იქნა 60-მდე ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებელი, რომელთა მიერ შესრულდა ცნობილი და პოპულარული ნაწარმოებები.

2. **ქალაქური მუსიკის ფესტივალი**

ფესტივალში მონაწილეობას მიიღო 50-მდე ქალაქური მუსიკის შემსრულებელმა. ფესტივალი გაიმართა 2 დღის განმავლობაში. შესრულდა, როგორც ცნობილი, ასევე დამწყები კომპოზიტორების ნაწარმოებები.

3. **საავტორო კინოს ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი**

განხორციელდა საავტორო ფილმების ბათუმის X საერთაშორისო კინო-ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიალის ორგანიზება. გაიმართა კინოჩვენებები, მოწვეულ იქნა 50-მდე ცნობილი კინო-რეჟისორი და კრიტიკოსი. მოეწყო ცნობილ რეჟისორთა მასტერკლასები.

4. **ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი**

მოეწყო ქართველი და უცხოელი შემსრულებლების კონცერტები, სადაც გაჟღერდა ამ ქვეყნების ავთენტური ფოლკლორული მუსიკა. გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის შენარჩუნება-განვითარებაზე.

5. **ბათუმის ანიმაციური ფილმების მე-7 საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბავშვებისა და მოზარდებისათვის გასართობი და შემეცნებითი ხასიათის კინოჩვენებები, მოეწყო ახალგაზრდა ანიმატორების ფილმებისა და ანიმაციის ფილმწარმოების ინტერაქტიული პრეზენტაციები

6. **საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალი**

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 50-მდე კომპანიამ 20-მდე ქვეყნიდან. ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ რეკლამაში, მარკეტინგში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში მოღვაწე ადამიანები. ასევე, ბიზნესმენები, მეწარმეები და სახელმწიფო სტრუქტურებში ჩართული სპეციალისტები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია ცოდნის გაღრმავება მარკეტინგული კომუნიკაციების სფეროში.